ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 8-19/01180431535.17

"19" 04 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, დასახლება მუხიანი, I და II მ/რ–ის მიმდებარედ/გობრონიძის ქუჩა, ნაკვ. №03/036–ის მიმდებარედ (ნაკვ.№03/042)/გობრონიძის ქ. №9–ის მიმდებარედ (ნაკვ№03/029)/გობრონიძის №13 შპს დილეოს და ავტო სადგომს შორის/მუხიანის დასახლება, II მ/რ, კორპუსი 2, მიმდებარედ/დასახლება მუხიანში (საკ. კოდი №01.11.17.003.206) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსის IV ეტაპის „დ" ბლოკი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3122030 01.03.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი გლდანი, დასახლება მუხიანი, I და II მ/რ–ის მიმდებარედ/გობრონიძის ქუჩა, ნაკვ. №03/036–ის მიმდებარედ (ნაკვ.№03/042)/გობრონიძის ქ. №9–ის მიმდებარედ (ნაკვ№03/029)/გობრონიძის №13 შპს დილეოს და ავტო სადგომს შორის/მუხიანის დასახლება, II მ/რ, კორპუსი 2, მიმდებარედ/დასახლება მუხიანში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების ნახატი. შენობის ძირში კედლების ნაწილი დაფერილია განსხვავებულ ფერში. დამატებულია წყალშემკრები მილები.

„4-9" და „9-4" ფასადზე აივნებზე დამატებულია ოთხი შსუბუქი კონსტრუქციის გადახურვა. „4-9" და 1-2" ფასადზე შენობის ძირში გაზრდილია ფანჯრების რაოდენობა. ამავე ფასადზე +1.65 ნიშნულზე შეცვლილია დეკორატიული ლესვის სისქე.

ფასადი „4-9" ღერძებში: შეცვლილია სახურავზე გამოსასვლელი კარის მდებარეობა და დამატებულია ლითონის ცხაური. +60.45 ნიშნულზე გაზრდილია გადახურვის ფილის გაბარიტი.

ფასადი „ა-დ" ღერძებში: შეცვლილია რელიეფის დონე. „ბ-გ" მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრის მდებარეობა. +4.05 ნიშნულზე „დ" ღერძის მიმდებარედ კედლის ნაწილი შეღებილია განსხვავებულ ფერში.

ფასადი „10-5" ღერძებში: -1.25 ნიშნულზე შეცვლილია კარის ნახატი. „5" ღერძის მიმდებარედ დამატებულია საფეხურები. +31.35 ნიშნულზე „8" ღერძთან აივანზე მოწყობილია გამყოფი ტიხარი. 54.45 ნიშნულზე ფანჯრის ზემოთ კედელი შეღებილია განსხვავებულ ფერში.

ფასადი „1-2" ღერძებში: შენობის ძირში შეცვლილია ფანჯრის მდებარეობა. სამანქანო და შ.შ.მ პირთათვის განკუთვნილი პანდუსი არ არის გამოყოფილი კედლით, 6%-ის ნაცვლად პანდუსის დახრილობა შეადგენს 10% და 15%-ს. -0.87 და +4.05 ნიშნულებზე დამატებულია რიგელები. +4.05 ნიშნულზე სახურავზე დამატებულია კომპანიის სარეკლამო ასოები.

შენობის შიგნით -4.15 ნიშნულზე გაზრდილია მონოლითური კედლების რაოდენობა. „1" ღერძზე კოლონებს შორის გაუქმებულია კედლები. „2" და „4" ღერძების კვეთასთან გაუქმებულია კედლის ნაწილი. „2" ღერძზე გაზრდილია ავტოსადგომის კარის ღიობის გაბარიტი. „4" და „გ" ღერძების კვეთასთან გაუქმებულია კიბის უჯრედში შესასვლელი კარი. ამავე ღერძების მიმდებარედ დამატებულია ავტოსადგომში შესასვლელი ერთფრთიანი კარი. +57.15 ნიშნულზე ლიფტის სამანქანოში დამატებულია

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ლითონის კიბე. სახურავზე შეცვლილია სავენტილაციო შახტების მდებარეობა, რაოდენობა და გაბარიტი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე მუხლის, ა.ს.კ. მე-2 მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 62-ე მუხლის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ბალავარი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, დასახლება მუხიანი, I და II მ/რ–ის მიმდებარედ/გობრონიძის ქუჩა, ნაკვ. №03/036–ის მიმდებარედ (ნაკვ.№03/042)/გობრონიძის ქ. №9–ის მიმდებარედ (ნაკვ№03/029)/გობრონიძის №13 შპს დილეოს და ავტო სადგომს შორის/მუხიანის დასახლება, II მ/რ, კორპუსი 2, მიმდებარედ/დასახლება მუხიანში (საკ. კოდი №01.11.17.003.206) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსის IV ეტაპის „დ" ბლოკე – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01180431535-17 12.02.2018წ. განცხადება.
№19/01180431535-17 13.02.2018წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე